



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ

18.05.2018 წ.

ქ. თბილისი

**თბილისის საქალაქო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე გიორგი გოგიჩაშვილი**

განმცხადებელი შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია,

მოწინააღმდეგე მხარე (სავარაუდო მოპასუხე) ა(ა)იპ ერთობა 2013,

მოთხოვნა სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება

განხილვის ფორმა ზეპირი მოსმენის გარეშე

აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით განცხადებით მომართა შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ და მოითხოვა სარჩელისა და სასამართლოს გადაწყვეტილების სამომავლოდ, დაუბრკოლებლად აღსრულების და მოსალოდნელი მწშნელოვანი ზიანის თავიდან აცილების მიზნებიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით, სასამართლო სამართალწარმოების სრულად დასრულებამდე, გადადოს/შეაჩეროს ა(ა)იპ ერთობა 2013-ის (შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანიის მეტროპოლიტენის ელ-მატარებლების მემანქანეთა და მეტროპოლიტენში დასაქმებულთა პროფესიული კავშირი) მიერ უშუალოდ სამუშაო პროცესის დროს დეკლარირებული გაფიცვის უფლების გამოყენება.

განცხადებაში მითითებულია შემდეგი ფაქტობრივ გარემოებები:

ა(ა)იპ ერთობა 2013-მა (შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის მეტროპოლიტენის ელ-მატარებლების მემანქანეთა და მეტროპოლიტენში დასაქმებულთა პროფესიული კავშირი (შემდგომში - პროფესიული კავშირი) 2018 წლის 2 აპრილს წერილობით (კომპანიაში რეგისტრაციის №1995/01) მიმართა შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიას და მოითხოვა კომპანიაში დასაქმებული პროფესიული კავშირის ყველა წევრისათვის შრომის ანაზღაურების 45%-ით გაზრდა. განცხადებაში აღნიშნულია, რომ

მიუხედავად კომპანიის მიერ მძიმე ფინანსური მდგომარეობის შესახებ გაკეთებული დეტალური განმარტებების, მედიატორის ჩართულობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა და ა(ა)იპ ერთობა 2013-ს შორის არსებული კოლექტიური დავის გადაწყვეტის მიზნით, შემდგარი სამედიაციო შეხვედრებისა და კომპანიის მხრიდან, შესაბამისი სამოქმედო გეგმის ერთობლივად ჩამოყალიბების შეთავაზებისა, არ იქნა გამოხატული მზაობა სავარაუდო მოპასუხის მხრიდან კოლექტიური დავის გადაწყვეტისათვის ერთობლივი კომისიის შესაქმნელად, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემდგარი სამედიაციო შეხვედრების შემდგომ, სავარაუდო მოპასუხემ 2018 წლის 30 აპრილის წერილით (კომპანიაში რეგისტრაციის №2602/01, თარიღი: 30.04.2018წ) შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიას აცნობა 2018 წლის 03 მაისიდან ა(ა)იპ ერთობა 2013-ს (ს/ნ 400096597) ყველა წევრის უვადოდ გაფიცვის შესახებ.

განცხადების მიხედვით შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია არის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმო, რომელიც ახორციელებს ეკონომიკის რეგულირებადი სფეროების განსაზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 დეკემბრის №667 დადგენილების პირველი მუხლის „ა“ (ავტობუსებით (M3 კატეგორის) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა), „ბ“ (მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა), და „ე“ (საქართველოს დედაქალაქში – თბილისში საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანა) ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საქმიანობას. მიწისქვეშა ელექტრო ტრანსპორტი (მეტრო) წარმოდგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას, რომლის მეშვეობითაც ყოველდღიურად ხორციელდება დაახლოებით 400 000-მდე მგზავრთა გადაყვანა. მისი საქმიანობის შენარჩუნება კი უმნიშვნელოვანესია დედაქალაქში ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საქმიანობების გამართულად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ააიპ ერთობა-2013-ის წევრთა გაფიცვის შემდგომ მოსალოდნელია რიგი უარყოფითი შედეგები: 1. მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტის შეჩერების შემთხვევაში საფრთხე შეექმნება ყოველდღიურად 400 000-მდე მგზავრობის განხორციელებას; 2. ქალაქში მოსალოდნელი საცობების გათვალისწინებით, მოქალაქეთა დიდი ნაწილი ფიზიკურად ვერ შეძლებს ისარგებლოს ალტერნატიული საზოგადოებრივი ან/და კერძო სატრანსპორტო საშუალებებით; 3. შეფერხებული საგზაო მოძრაობის შედეგად შეუძლებელი გახდება ჯანდაცვის, სახანძრო უსაფრთხოების და სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის მომსახურების უზრუნველმყოფი სამსახურების მიერ სამსახურებრივი სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილება; 4. შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია ყოველდღიურად მიიღებს დაახლოებით 163 500 (ას სამოცდასამი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით ზიანს მიუღებელი შემოსავლის სახით (4 905 000 ლარი 30 კალენდარული დღის განმავლობაში).

განცხადებაში აღნიშნულია, რომ დეკლარირებულ გაფიცვამდე პერიოდში, კერძოდ, 2018 წლის პირველი მარტის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებული 210 მემანქანეთაგან ა(ა)იპ ერთობა 2013-ში გაწევრიანებული იყო 140 მემანქანე, ხოლო 2018 წლის 18 მაისის

მდგომარეობით, პროფესიულ კავშირში გაწევრიანებულია 170 მემანქანე. ამასთან, ხსენებული სტატისტიკური მონაცემებით პროფესიული კავშირი, სხვადასხვა ხერხების გამოყენებით ცდილობს მემანქანეთა უფრო და უფრო მეტი რეოდენობის გაწევრიანებას, რათა უფრო აქტიურად და მძაფრად შეძლონ ულტიმატუმისა და შანტაჟის ენით საუბარი. გაფიცვის შედეგად მოსალოდნელი სავალალო შედეგების გათვალისწინებით, კიდევ ერთხელ დასტურდება, უშუალოდ სამუშაო საათებში ა(ა)იპ ერთობა 2013-ის წევრ მემანქანეთა გაფიცვის უკანონო ხასიათი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 01.05.2018 წლის N2425047-18 განჩინებით დაკმაყოფილდა შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის განცხადება და ა(ა)იპ ერთობა 2013 წევრთა მიერ 03.05.2018 წელს უვადოდ დაგეგმილი გაფიცვა, გაფიცვის ადგილის მიუხედავად, გადაიდო 03.05.2018 წლიდან 30 კალენდარული დღის ვადით.

განცხადებების მიხედვით შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია ა(ა)იპ ერთობა 2013-ის მხრიდან, უშუალოდ სამუშაო პროცესის დროს დეკლარირებული გაფიცვის ფარგლებში, მოსალოდნელი მძიმე შედეგების თავიდან აცილების მიზნით, უმოკლეს ვადაში გეგმავს სასამართლოში სარჩელის აღძვრას მოთხოვნით: უკანონოდ ცნოს სასამართლომ ა(ა)იპ ერთობა 2013 -ის მიერ უშუალოდ სამუშაო პროცესის დროს დეკლარირებული გაფიცვის უფლების გამოყენება.

სასამართლო გაეცნო განმცხადებლის მოთხოვნას, შეამოწმა მისი დასაბუთებულობა და მიაჩნია, რომ განცხადება სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

უდავოა, რომ სახეზეა დამსაქმებელს შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა და ამავე კომპანიაში დასაქმებულ პირთა პროფესიულ კავშირ ააიპ „ერთობა 2013“ შორის კოლექტიური დავა საქართველოს შრომის კოდექსის 49.6¹ მუხლის შესაბამისად.

ასევე უდავოა, რომ მხარეებმა დავის გადაწყვეტისა სცადეს მედიატორის მეშვეობით გამართულ შეხვედრების დროს საქართველოს შრომის კოდექსის 48¹-ე მუხლის შესაბამისად და მხარეებმა ვერ მიაღწიეს კონკრეტულ შეთანხმებას.

უდავოა, რომ ააიპ ერთობა 2013-ში 18.05.2018 წლის მდგომარეობით გაერთიანებულია თბილისის სატრანსპორტო კომპანიის მეტროპოლიტენის ელ-მატარებლების მემანქანეები და მეტროპოლიტენში სხვა დასაქმებულები კერძოდ სატრანსპორტო კომპანიაში დასაქმებულ 210 მემანქანიდან ააიპ ერთობაში გაწევრიანებულია 170 მემანქანე, რაც წარმადგენს კომპანიაში დასაქმებულ მემანქანეთა 80%-ზე მეტს.

უდაოა, რომ ააიპ ერთობა 2013-მა 30.04.2018 წელს წერილობით აცნობა სატრანსპორტო კომპანიას პროფკავშირებში გაერთიანებულ წევრთა უვადო გაფიცვის უფლების გამოყენების შესახებ 03.05.2018 წლიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 01.05.2018 წლის N2425047-18 განჩინებით ა(ა)იპ ერთობა 2013 წევთა მიერ 03.05.2018 წელს უვადოდ დაგეგმილი გაფიცვა, გაფიცვის ადგილის მიუხედავად, გადაიდო 03.05.2018 წლიდან 30 კალენდარული დღის ვადით.

საქართველოს შრომის კოდექსის 47.1. მუხლის თანახმად, დავა არის შრომითი ურთიერთობის დროს წარმოშობილი უთანხმოება, რომლის გადაწყვეტაც შედის შრომითი ხელშეკრულების მხარეთა კანონიერ ინტერესებში.

საქართველოს შრომის კოდექსის 48¹.1. მუხლის თანახმად, კოლექტიური დავა (დავა დამსაქმებელსა და დასაქმებულთა ჯგუფს ან დამსაქმებელსა და დასაქმებულთა გაერთიანებას შორის) უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის შემათანხმებელი პროცედურებით, რაც გულისხმობს დამსაქმებელსა და დასაქმებულთა ჯგუფს (სულ მცირე 20 დასაქმებული) ან დამსაქმებელსა და დასაქმებულთა გაერთიანებას შორის პირდაპირი მოლაპარაკებების გამართვას ან მედიაციას ერთ-ერთი მხარის მიერ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისათვის (შემდგომ – მინისტრი) შესაბამისი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაში.

განცხადების მიხედვით განმცხადებელი აპირებს სარჩელის აღძვრას სავარაუდო მოპასუხის მიმართ საქართველოს შრომის კოდექსის 51-ე მუხლის შესაბამისად გაფიცვის უკანონოდ ცნობის შესახებ, რის გამოც გაფიცვის უარყოფითი შედეგების როგორც ფინანსურის კომპანიისათვის, ასევე მესამე პირებისათვის მათ შორის მეტროპოლიტენით გადაადგილებულ პირთათვის და საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 06.12.2013 წლის #01/43/ნ ბრძანებით დამტკიცებული ნუსხაში არსებულ პირთა მიერ მუნიციპალური ტრანსპორტით - მეტროპოლიტენით გადაადგილებით უზრუნველყოფისათვის სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად სამსახურში დროულად გამოცხადების მიზნით სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით აიპ ერთობა 2013-ში გაერთიანებულ პირთა მიერ დეკლარირებული გაფიცვის გადადებაც/შეჩერებაც უშუალოდ მათ სამუშაო დროს გაფიცვის უფლების გამოყენება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გარემოებები, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას, გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით. ეს განცხადება ასევე უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გამოყენება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. რომელიმე ზემოაღნიშნული გარემოების არსებობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება სასამართლოს ვარაუდს, რომ სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს. სასამართლოს მსჯელობა სარჩელის მატერიალურ

და საპროცესო წინაპირობებზე გავლენას არ ახდენს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე.

ამასთანავე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 192-ე მუხლის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადება გადაუდებელ შემთხვევაში შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში სარჩელის აღძვრამდე.

დასახელებულ ნორმათა ანალიზი ცხადყოფს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის მიზანია სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა (სსსკ-ის 191.1 მუხლი), ხოლო ჯერ არ აღძრული სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებას წაეყენება დამატებითი წინაპირობა - შემთხვევის გადაუდებლობა. სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების სამართლებრივი არსი მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლოსათვის მიმართვის დროისათვის არსებობს დასაბუთებული ვარაუდი და რეალური საშიშროება, რომ, სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე, შეუძლებელი გახდება გადაწყვეტილების აღსრულება. ანუ კანონმდებლობით გათვალისწინებული იქნა მხარის ინტერესი, საფრთხის და შესაბამისი დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში, სარჩელის აღძვრამდე, მისგან დამოუკიდებლად მიმართოს სასამართლოს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განცხადებით. ამ გარემოების არსებობა წარმოადგენს სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების სამართლებრივ საფუძველს.

საბოლოოდ საკითხს იმის შესახებ, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული და უნდა იყოს თუ არა იგი საერთოდ გამოყენებული წყვეტს სასამართლო მოთხოვნის ხასიათისა და მისი შინაარსიდან გამომდინარე. განმცხადებლის მიერ მხოლოდ მითითება, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობის შემთხვევაში გართულდება გადაწყვეტილების აღსრულება საკმარისი არ არის. სასამართლოს უნდა გაუჩნდეს დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა სახეზეა. ამასთან განმცხადებელს ეკისრება უზრუნველყოფის ღონისძიების აუცილებლობის, დარღვეული ან სადაო უფლების განუხორციელებლობის, გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანის დადგომის შესაძლებლობის რომლიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით ასევე კონკრეტულად მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიების დასაბუთება.

კანონმდებლის მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის დაწესება არ გულისხმობს მის ავტომატურ გამოყენებას ნებისმიერი სარჩელის მიმართ. არამედ, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ხდება ყოველ კონკრეტულ საქმეზე სასამართლოს განსაკუთრებული მსჯელობის შედეგად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების ზოგად საფუძველს, ხოლო სასამართლო განსაზღვრავს, არსებობს თუ არა ამგვარი საფუძველი განსახილველ საქმესთან დაკავშირებით და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას იყენებს იმ შემთხვევაში, თუ მის გამოყენებას

მიზანშეწონილად ჩათვლის მხარეთა უფლებებსა და ინტერესებს შორის გონივრული ბალანსის დაცვის გზით. შესაბამისად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის გათვალისწინება გულისხმობს აღნიშნული ინსტიტუტის გამოყენების დაწესებას ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც იგი გამართლებულია, ხოლო არის თუ არა გამართლებული, ამის შესახებ სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის თანახმად საკითხს იმის შესახებ, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, წყვეტს სასამართლო მოსარჩელის განცხადების შესაბამისად. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება იყოს „მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა“.

სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების საფუძველი მოიცავს ასევე ვარაუდს, რომ მოსარჩელის მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში სარჩელის უზრუნველყოფის საფუძველიც არ არსებობს. აღნიშნული საფუძვლის შემოწმებისას მოთხოვნის შემოწმება საჭიროა იმ თვალსაზრისით, რომ დადგინდეს სარჩელის შესაძლო დაკმაყოფილების შესახებ ვარაუდის საფუძვლიანობა.

განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებლის მოთხოვნას წარმოადგენს, სარჩელისა და სასამართლოს გადაწყვეტილების სამომავლოდ, დაუბრკოლებლად აღსრულების მიზნებიდან გამომდინარე, ასევე სამომავლო მნიშვნელოვანი ზიანის, მათ შორის ფინანსური და მესამე პირთა სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების და სახელმწიფო სტრუქტურების გამართული ფუნციონირებისათვის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით სასამართლო სამართალწარმოების სრულად დასრულებამდე, ა(ა)იპ ერთობა 2013-ში გაერთიანებულ მეტროპოლიტენის ელ-მატარებლების მემანქანეებს შეეზღუდოთ სამუშაო საათებში (მათ ცვლაში) ა(ა)იპ ერთობა 2013-ის მიერ დეკლარირებულ გაფიცვაში გაფიცვის უფლებით სარგებლობა.

სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს შრომის კოდექსის 49-ე მუხლით გარანტირებულია დასაქმებულის უფლება - მონაწილეობა მიიღოს იმ პროფკავშირების მიერ ორგანიზებულ გაფიცვაში, რომელშიც იგი გაერთიანებულია კოლექტიური დავის გადაწყვეტის მიზნით. რაც ასევე უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციის 33-ე მუხლით და განხილულ უნდა იქნეს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან ერთად, როგორც სოციალური ხასიათის უფლება. აღნიშნული უფლება ასევე გარანტირებულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის N87-ე კონვენციით, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ პაქტით, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტით, ევროპის სოციალური ქარტით და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 11-ე მუხლით.

სასამართლო განმარტავს, რომ გაფიცვის უფლება წარმოადგენს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას პროფკავშირების მეშვეობით მოახდინოს ზემოქმედება დამსაქმებელზე სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად, თუმცა აღნიშნული უფლება არ არის აბსოლიტური და იგი შეიძლება შეიზღუდოს თუ ეს გათავლისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნლი, უშუშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინეტესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის აღსაკვეთად. საქართველოს შრომის კოდექსის გარდამავალი დებულებებით, საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს მიენიჭა უფლებამოსილება განესაზღვრა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ იმ პროფესიათა ნუსხა, რომელტაც ეკრძალებათ გაფიცვის უფლებით სარგებლობა, რაც 06.12.2013 წლის N01-43/ნ ბრამანებით იქნა განსაზღვრული.

უდავოა, რომ ა(ა)იპ ერთობა 2013-ში დასაქმებული პროფკავშირის წევრები არ წარმოადგენენ საჯარო მოხელეებს და არც აღნიშნულ პროფკავშირებში გაერთიანებული ელ-მატარებლების მემანქანეები არ არიან საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს 06.12.2013 წლის N01-43/ნ ბრამანებით განსაზღვრულ ჩამონათვალში, ასევე უდავოა, რომ თბილისის მეტროპოლიტენი წარმოადგენს სარკინიგზო მუნიციპალურ მიწისქვეშა ტრანსპორტს, რომელიც მოიცავს დედაქალაქის თითქმის ყველა უბანს და დღის განმავლობაში გადაყავს დაახლოებით 400 000-მდე მგზავრი. ასევე უდავოა, რომ საქსტატის უკანასკნელი მონაცემებით საქართველოში ცხოვრობს დაახლოებით 3 700 000-მდე ადამიანი, რომელთაგან თბილისში ცხოვრობს დაახლოებით 2 000 000-მდე ადამიანი, რომელსაც უნდა დაემატოს ტურისტულ სეზონზე საქართველოში შემოსული უცხოელი ტურისტები. ასევე უდავოა, რომ საკანონმდებლო ხელისუფლების გარდა დედაქალაქში განთავსებულია აღმასრულებელი ხელისუფლების თითქმის ყველა საკვანძო შტო და სასამართლო ხელისუფლების სამი ინსტანცია. ასევე უდავოა, რომ ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ასევე უშიშროებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გთვალისწინებული სტრუქტურები უზრუნველყოფილნი არიან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სამსახურებრივი დანიშნულების ავტომობილებით, რომლითაც ახორციელებენ მათზედ დაკისრებულ სასიცოცხლო ფუნქციების განხორციელებას. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ საჯარო მოხელეები, ასევე კერძო სექტორში დასაქმებული მოქალაქეები სამსახურში მისასვლელად სარგებლობენ პირადი ავტომობილებით, მუნუციპალური დანიშნულების ტრანსპორტით, მათ შორის მეტროპოლიტენით და საზოგადოებრივი მიწისზედა ტრანსპორტით.

სასამართლო იზიარებს განმცხადებლის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ ა(ა)იპ ერთობა 2013-ში გაერთიანებულ მეტროპოლიტენის მემანქანეთა 80%-ის გაფიცვის უფლების ნაწილობრივი შეზღუდვის გარეშე მეტროპოლიტენში დარჩენილი 20% ელ-მატარებლების მემანქანეების ჩანაცვლებით ვერ იქნება უზრუნველყოფილი მიწისქვეშა სალიანდაგო, მუნიციპალური ტრანსპორტის გამართული და უსაფრთხო ფუნქციონირება, რაც გამოიწვევს მეტროპოლიტენის სრულ პარალიზებას და თბილისის მიწისზედა, ისედაც გადატვირთული საგზაო ინფრასტრუქტურის კოლაფსს. რასაც

ადგილი ქონდა წარსულში საავარიო სიტუაციებში მეტროპოლიტენის დროებით შეჩერების პერიოდში. ვინაიდან მიწიზედა მუნიციპალური ტრანსპორტით შესაძლებელია უზრუნველყოფილი იქნეს მეტროპოლიტენის გამართულად ფუნქციონირების პირობებში მხოლოდ 350 000 მგზავრის გადაყვანა, მათ შორის ადამიანის სიცოცხლეზე, ჯანმრთელობაზე, უსაფრთხოებასა და უშუშროებაზე პასუხისმგებელი პირების. ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ ა(ა)იპ ერთობა 2013-ის მიერ დეკლარირებული გაფიცვა შესაძლოა ატარებდეს ხანგრძლივ ან უვადო ხასიათს, საზოგადოებრივი ტრანსპორტით (ტაქსით) გადაადგილების შემთხვევაში ქვეყანაში შექმნილი ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან და დასაქმებულთა ხელფასებიდან გამომდინარე ფაქტიურად შეუძლებელია. რის გამოც ერთმანეთს შესძლებელია დაუპირისპირდეს 170 მემანქანის გარანტირებული გაფიცვის უფლების რეალიზაცია, მეორე მხრივ თბილისში მაცხოვრებელ 2 000 000-მდე ადამიანის საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების რეალიზაციას, მათ შორის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლებას.

სასამართლო განმარტავს, რომ საჩელის არძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას დაბალანსებულ უნდა იქნეს ერთის მხრივ პროფესიულ კავშირებში გაერთიანებისა და გაფიცვის უფლება, ასევე საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სიცოცხლის, ჯანმრთელობის და უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლება, რის გამოც ა(ა)იპ ერთობა 2013-ში გაერთიანებულ, მხოლოდ ელ-მეტარებლების მემანქანეებს ნაწილობრივ უნდა შეეზღუდოთ და არა აეკრძალოთ უფლება - მონაწილეობა მიიღონ პროფკავშირების მიერ ორგანიზებულ გაფიცვაში, მხოლოდ მათი სამუშაო ცვლის დასრულების შემდეგ. სასამართლო განმარტავს, რომ გასათვალისწინებელია, რომ ელ-მატარებლის მემანქანეები წარმოადგენენ ცვლებში მომუშავეებს და თითოეულის სამუშაო საათები განსხვავდება ერთმანეთისაგან, რა დროსაც ელ-მატარებლის მემანქანეები შეძლებენ პროფკავშირების მიერ ორგანიზებულ გაფიცვაში მონაწილეობის მიღებას, გარდა მათი სამუშაო საათებისა, რითაც უზრუნველყოფილი იქნება თბილისის მეტროპოლიტენის გამართული და უსაფრთხო ფუნქციონირება და თბილისში მცხოვრებთა უსაფრთხოება, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლება, რის გამოც სარჩელის არძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს. გაფიცვის უფლება ნაწილობრივ უნდა შეეზღუდოს ელ-მატარებლების მემანქანეებს (სამუშაო საათებში), ხოლო პროფკავშირების დანარჩენი წევრები უფლებამოსილნი არიან მონაწილეობა მიიღონ ა(ა)იპ ერთობა 2013-ის მიერ დეკლარირებულ გაფიცვაში.

რაც შეეხება სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას გადაუდებელ აუცილებლობას, სასამართლო განმარტავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ გაფიცვის უფლება თბილისის საქალაქო სასამართლოს 01.05.2018 წლის N2425047-18 განჩინებით გადაიდო 03.05.2018 წლიდან 30 კალენდარული დღის ვადით და აღნიშნული განჩინება მიქცეულია დაუყოვნებლივ აღსასრულებლად და ჯერ არ ამოწურულა განჩინების მოქმედების ვადა, აღნიშნული განჩინება ა(ა)იპ ერთობა 2013-ის მიერ გასაჩივრებულია ზემდგომ სასამართლოში, რის გამოც არსებობს ალბათობა საჩივრის დაკმაყოფილების და განჩინების გაუქმების შემთხვევაში მეტროპოლიტენის პარალიზების.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე, 198-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის შუამდგომლობა სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. ა(ა)იპ ერთობა 2013-ში გაერთიანებულ ელ-მატარებლების მემანქანებს შეეზღუდოთ ა(ა)იპ ერთობა 2013-ის მიერ დეკლარირებულ გაფიცვაში მონაწილეობის მიღების უფლება, შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის მიერ მათთვის დადგენილ სამუშაო საათებში.
3. განემარტოს განმცხადებელს, რომ თუ სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში 10 დღის ვადაში სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შემტანი პირი არ აღძრავს სარჩელს, მაშინ სასამართლო საკუთარი ინიციატივით ან მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველსაყოფად მის მიერ მიღებული ღონისძიების გაუქმების შესახებ
4. განმცხადებელს ასევე განემარტოს, რომ, თუკი სარჩელი აღიძრა, მაგრამ უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, მაშინ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, განმცხადებელი ვალდებული იქნება, აუნაზღაუროს მოწინააღმდეგე მხარეს ზარალი, რაც მას მიადგა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შედეგად.
5. განჩინებაზე შეიძლება საჩივრის შეტანა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, მისი ასლის მხარისათვის გადაცემიდან 05 დღის განმავლობაში.

მოსამართლე

გიორგი გოგიჩაშვილი